თემურ სიხარულიძე
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, თსუ
temur.sikharulidze152@hum.tsu.edu.ge

პირველი სახარება და იესო ქრისტე როგორც აპოკალიპტური წინასწარმეტყველი

საკვანძო სიტყვები: ახალი აღთქმა, სახარება, მარკოზი, მესია, აპოკალიფსი, ღვთის ძე, იესო

Keywords: New Testament, Gospel, Markos, Mesiah, Apocalypse, Son of God, Jesus

იესო ქრისტეს ხსენებაზე ყველას მაშინვე რელიგია და ის 2000 წლოვანი ტრადიცია ახსენდება, რომელიც უფრო მეტად ეკლესიას უკავშირდება, ვიდრე თავად ქრისტეს. ეს ბუნებრივიც არის, რწმენა საერთოდ არ მოითხოვს რაიმე მეცნიერულ ცოდნას, მითუმეტეს არც ისტორიულს, მაგრამ ისტორიკოსის მოვალეობაა, ყველა მოვლენას საჭირო მეთოდოლოგია მოუძებნოს ანალიზისთვის და მხოლოდ რწმენის ამარა არ დარჩეს. დღეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ფაქტობრივად, ვერაფერს შევხვდებით ისტორიულ ქრისტესთან დაკავშირებით, მხოლოდ რამდენიმე მცირედი ბლოგი არსებობს, მართალია პოპულარული ენით ნაწერი, მაგრამ მაინც ღირებული.

სანამ უშუალოდ საკითხის კრიტიკულ ანალიზსა და განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ქრისტე ისევე არსებობდა დროში, როგორც ყველა სხვა ისტორიული ფიგურა, ეხნატონიდან მოყოლებული ნაპოლეონ ბონაპარტით დამთავრებული. იესო ქრისტეს ისტორიულობის კვლევით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაინტერესდნენ, კვლევის პირველი ეტაპი თარიღდება 1778 წლით, როდესაც გერმანელმა მწერალმა და განმანათლებელმა გოტჰოლდ ე. ლესინგმა გამოაქვეყნა ჰერმან სამუელ რაიმარუსის ანონიმური ფრაგმენტები. სტატიაში „იესოსა და მისი მოწაფეების განზრახვის შესახებ“ იესო წარმოდგენილი იყო, როგორც ღვთისმოსავი ებრაელი, რომელიც მიუძღოდა ისრაელს მონანიებისკენ, რათა დაეარსებინა ღვთის სამეფო დედამიწაზე (ლელუაშვილი 2020: 5). რა ადასტურებს იესო ქრისტეს ისტორიულობას?! – პასუხი ზედმეტად მარტივია, თავად ახალი აღთქმა. დღეს ახალი აღთქმის 5800 ბერძნული ხელნაწერი არსებობს, ბერძნულის გარდა გვაქვს უამრავი ლათინური, სირიული, კოპტური, ქართული და სხვა ენაზე შესრულებული ხელნაწერები. ახალი აღთქმის ყველაზე ძველი ხელნაწერი II საუკუნით დათარიღებული ფრაგმენტია იოანეს სახარებიდან (იოანე 18:36-19:7), ხელნაწერი ეგვიპტის ქალაქ ოქსირინუქსში აღმოაჩინეს და დღეს ოქსფორდში ინახება. თუ კი ახალ აღთქმას სხვა ანტიკურ წყაროებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ საკმაოდ სა-

ნდოა. ზოგადად, მისი დღემდე აღმოჩენილი უადრესი ხელნაწერები საკმაოდ ახლოა თავად მისი დაწერის თარიღებთან. მაშინ, როცა პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ I საუკუნეში დაიწერა, ხოლო მისი უადრესი ხელნაწერი, რომელიც ისტორიკოსებს შემორჩათ, 400 წლის მერეა დაწერილი. ახალ აღთქმასთან კი საქმე სხვაგვარადაა, ყველაზე მეტი დაშორება დაახლოებით 120 წელი იქნება. მართალია არც ეს არის ცოტა დრო, მაგრამ სხვა ისტორიულ პირებზე იმდენად ცოტა ინფორმაცია გვაქვს და იმდენად ბუნდოვანი, რომ მათ მაშინ საერთოდ ხაზი უნდა გადაესვას. სინოპტიკურ[1] სახარებებში, როგორც ცნობილია, მოცემულია ქრისტეს გენეალოგია და ძირითადად მისი საქმეების აღწერილობა. ყოველ სახარებას საკუთარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გააჩნია, რაც ბუნებრივიც გახლავთ, ყველა ავტორი თავისთავად სუბიექტურია და ისევე როგორც ყველა წყაროს, სახარებებსაც ახასიათებს წინააღმდეგობები თუ ანაქრონიზმები. სწორედ ეს იწვევდა მეცნიერებს შორის კამათს და ამ მიზეზების გამო ნაკლებად ენდობოდნენ სახარებებს, როგორც ისტორიულ წყაროებს. მაგალითად, ცნობილია, რომ მარკოზის სახარების ისტორიულობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ რ. ბულტმანი და მისი მიმდევრები გერმანიაში; რ. ლაითფუტი და მისი მიმდევრები ბრიტანეთში; ჯ. მ. რობინსონი და მისი მიმდევრები ამერიკაში (ლორთქიფანიძე, მშვილდაძე 2012: 191), მაგრამ დღეს ცალსახად ნათელია, რომ ახალი აღთქმა და სინოპტიკური სახარებები ჩვეულებრივი ისტორიული წყაროებია და მათაც ისევე ახასიათებთ უზუსტობები, როგორც ყველა დანარჩენ წყაროს. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რატომ არ ვახსენებთ იმ სახარებებს, რომლებიც არაკანონიკურია და გნოსტიკური სახარებების სახელით არის ცნობილი, პასუხი აქაც ძალიან მარტივია. პირველ რიგში, ეს სახარებები უფრო გვიანდელია, ვიდრე კანონიკური და რეალურად მხოლოდ გარკვეული ჯგუფების რწმენა-წარმოდგენებს გვიხატავს ქრისტესთან დაკავშირებით, თავისთავად ესეც საინტერესოა, მაგრამ ისტორიული ქრისტეს რეკონსტრუქციისთვის ამჟამად არ გამოგვადგება. მაინც რა არის ეს სახარებები, როგორ და რა მეთოდით უნდა მივუდგეთ მას, რათა ისტორიულად შევისწავლოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ეს სახარება გვიანანტიკურ ხანაშია დაწერილი და უშუალოდ ანტიკურ ტრადიციასთან არის დაკავშირებული. რა ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ სახარებები, გვაქვს თუ არა მსგავსი ხელნაწერები? აქაც საქმე მარტივადაა, რეალურად მეცნიერება მსგავს ჩანაწერებს ბიოგრაფიების სახელით იცნობს. თუ ჩვენ სახარებებს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე წავიკითხავთ, არ გვექნება ცოდნა, რომელსაც უნებურად ყველა იღებს უნდა თუ არ უნდა მას და ხშირ შემთხვევაში არასწორს, მაშინ ძალიან მარტივად დავინახავთ, რომ სახარებებიც ისეთივე ბიოგრაფიებია, როგორიც სხვა დანარჩენი. ყველა ბიოგრაფიაში, ისევე როგორც სახარებებში, ვკითხულობთ ერთ მთავარ გმირზე. ძირითადად, ბიოგრაფია იწყება მთავარი პერსონაჟის გამოჩენით ან დაბადებით და მისი გარდაცვალებით სრულდება. მაგალითად, მარკოზის სახარება ისე იწყება, როგორც ჩვეულებრივი ბიოგრაფიები: „დასაწყისი სახარებისა (რაც, სხვათა შორის, კარგ ამბავს ნიშნავს) იესო ქრისტესი,

[1] Σύνοψις – ბერძნული ტერმინი, რაც რაიმეს მთლიანობაში, ერთიანობაში ხედვას გულისხმობს.

ღვთის ძისა“ (მარკოზი 1:1) ეს გავრცელებული ლიტერატურული ჟანრი იყო იმ დროისთვის. მითუმეტეს ბერძნულ-რომაულ სამყაროში, მხედველობაში მაქვს ტაციტუსის, პლუტარქეს, სვეტონიუსის და სხვათა ბიოგრაფიები (Ehrman 1997: 52-60). მართალია შეიძლება სახარებები მცირედით განსხვავდება აღნიშნული ბიოგრაფიებისგან, მაგრამ ეს ბუნებრივია, ყველა მწერალს ახასიათებს საკუთარი სტილი, თვით სახარებებს შორისაც განსხვავებაა, მაგრამ ვფიქრობ იქიდან გამომდინარე, რომ სახარებები წერისას ერთმანეთით სარგებლობდნენ, გარკვეული მსგავსება წერის სტილში მაინც ჩამოყალიბდა. საინტერესოა, როგორ წაიკითხავდა სახარებებს 2000 წლის წინ მცხოვრები ადამიანი, რომელიც დაცლილია ყოველგვარი რწმენა-წარმოდგენებისგან, რაც ჰიპოსტასებს და მსგავს ეგზეგეტიკურ[2] საკითხებს უკავშირდება. ის, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივად მიუდგებოდა ნაწერს და წაიკითხავდა ისე, როგორც ერთი კონკრეტული რელიგიური ლიდერის ბიოგრაფიას, რომელიც ახდენდა სასწაულებს და რომელიც ტრაგიკულად აღესრულა.

ასევე საინტერესოა სახარებების დაწერის პერიოდიზაცია, ვგულისხმობ, თუ რომელი მათგანი უნდა დაწერილიყო პირველი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამაზე ბევრს ვერაფერს შეხვდებით, გურამ ლორთქიფანიძისა და მარიკა მშვილდაძის წიგნში: „ბიბლიური არქეოლოგია“ ვკითხულობთ: „როგორც აღვნიშნეთ, ახალ აღთქმაში სახარებები შეტანილია მათი დაწერის თარიღების მიხედვით“ (ლორთქიფანიძე, მშვილდაძე 2012: 191). ამ ლოგიკით პირველი სახარება მათესი იყო, ავტორები აღიარებულ ტრადიციას მიჰყვებიან და ამბობენ, რომ სახარებები მისი დაწერის თანმიმდევრობით არის დალაგებული. მაგრამ თუ სახარებებს დაკვირვებით წავიკითხავთ და უფრო კრიტიკულ ანალიზს დავიწყებთ, შეიძლება სხვა დასკვნებამდეც მივიდეთ. მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებას, სინოპტიკური სახარებები ეწოდება, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ერთ ამბავს და მსგავსად მოგვითხრობენ. ოთხი სახარებიდან ყველაზე განსხვავებული იოანეს სახარებაა, რამე თუ ის ყველაზე გვიან უნდა დაწერილიყო, სწორედ ამიტომაა ის ღვთისმეტყველებით ყველაზე გაჯერებული, მაგრამ ეს საკმაოდ ვრცელი თემაა და ამჟამად მის განხილვაზე არ შევჩერდებით. როგორც უკვე ვთქვით, აღნიშნული სამი სახარება აღწერს ერთ ამბავს, ზოგჯერ სიტყვასიტყვითაც კი იმეორებენ ერთმანეთს, მაგრამ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ ერთი შეხედვით მსგავსებისა, სამივე მათგანი მაინც ინდივიდუალური და განსხვავებულია. მსგავსებებთან ერთად ძალიან ბევრი წინააღმდეგობა არსებობს. თუ, მაგალითად, სამიდან ორი სახარება ერთნაირად წარმოაჩენს ამბავს, მესამე განსხვავებულია. ერთ სახარებაში მოცემული ამბავი, დანარჩენ ორში შეიძლება საერთოდ არც კი ეწეროს. ამ სახის წინააღმდეგობებს, მეცნიერებმა „სინოპტიკური პრობლემა“ უწოდეს (Ehrman 1997: 73). აღნიშნულ პრობლემას ქრისტიანი აპოლოგეტები იმით ხსნიან, რომ სულიწმინდის ძალით კი დაწერეს ავტორებმა სახარებები, მაგრამ სულიწმინდამ მათ ინდივიდუალიზმი არ დაუკარგა და საკუთარი ინტერპრეტაციის საშუალება მისცა (მათითაშვილი 2022), მაგრამ ფაქტია საქმე სულ სხვაგვარადაა,

[2] ბიბლიასთან მიმართებაში გულისხმობს თეოლოგიურ დისციპლინას, რომელიც განმარტავს წმინდა საღმრთო წერილს.

კრიტიკული ანალიზის შემდეგ მეცნიერთა უმეტესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირველი სახარება, რომელიც უნდა დაწერილიყო, არა მათეს, არამედ მარკოზის სახარება გახლავთ. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით ახ.წ. 70 წელს. შემდეგ უნდა დაწერილიყო მათეს და ლუკას სახარებები დაახლ. 85 წლისთვის. ეს ორივე, ანუ მათეს და ლუკას სახარება, მარკოზის სახარებასთან ერთად კიდევ ერთ წყაროს უნდა დაჰყრდნობოდა, რომელსაც მეცნიერები Q წყაროს (Quellen გერმანულად წყარო) სახელით მოიხსენიებენ და რომელიც სამწუხაროდ არ შემოგვრჩა. როგორც უკვე ვახსენეთ, ყველაზე გვიან იოანეს სახარება დაიწერა, სადღაც 95 წლისთვის. რა გვაფიქრებინებს, რომ ყველაზე პირველი მარკოზის სახარება უნდა ყოფილიყო? სახარების კარგი მკითხველი მარტივად დაინახავს შემთხვევებს, როცა ისტორიები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. მაგალითად, თუ რაღაც მომენტში მათე და მარკოზი ერთ ამბავს ერთნაირად გადმოგვცემს, ზოგჯერ ლუკა ამ ამბავს ცვლის. ასევე ხდება პირიქითაც, თუ ლუკა და მარკოზი იმეორებენ ერთმანეთს, მათე სულ სხვაგვარად გვიხატავს სურათს. ფაქტობრივად, შეუძლებელია ისეთი წინააღმდეგობის პოვნა, სადაც ორივე სახარებაში, მათესთანაც და ლუკასთანაც ამბავი ერთნაირადაა, ხოლო მარკოზის სახარებაში სხვანაირად. ეს ყველაფერი უნდა აიხსნას, იმით, რომ მათეს და ლუკას სახარების ავტორები, უფრო ძველი, უკვე არსებული ხელნაწერებით, ამ შემთხვევაში, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, მარკოზის სახარებით სარგებლობდნენ. თუ ლუკას სახარების ავტორი, მარკოზის სახარებიდან იწერდა ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ხშირად მათეს სახარების ავტორი ამბავს ცვლიდა, არა გამიზნულად, არამედ უბრალოდ საკუთარი ინტერპრეტაციისთვის, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა წერისას. ასევე იყო მეორე შემთხვევაშიც, თუ მათეს სახარების ავტორი გადაწერდა რაიმე ამბავს, ლუკას ავტორი ცვლიდა ხოლმე და სწორედ ამიტომ მოდიან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. მაგრამ აქ კიდევ ერთი ნიუანსია, ორივე, მათეს და ლუკას სახარებებიც, მარკოზის სახარებაზე მოცულობით დიდია. ეს იმით არის განპირობებული, რომ ზოგიერთი მომენტი მარკოზის სახარებაში საერთოდ არ არის აღწერილი, მაგრამ მათესთან და ლუკასთან გვხვდება. ჩემი აზრით, სწორედ ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არსებობდა ე.წ. Q წყარო, რომლითაც ავტორები მარკოზის სახარებასთან ერთად სარგებლობდნენ.[3] აქედან გამომდინარე, ვფიქრობ შეცდომაა, იმის თქმა რომ პირველი სახარება, რომელიც დაიწერა მათეს სახარება იყო.

მას შემდეგ, რაც მსჯელობით დავადგინეთ, რომ პირველი სახარება, რომელიც დაიწერა, მარკოზის სახარება გახლავთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მცირედით უფრო დეტალურად შევჩერდეთ მასზე. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ არცერთი სახარების ავტორი არ არის ცნობილი, არცერთ მათგანში ავტორი საკუთარ ვინაობას არ ამჟღავნებს, ასევეა მარკოზის სახარების შემთხვევაშიც, უბრალოდ მკითხველი რომ არ დაიბნეს, სახარებებს იმ სახელით მოვიხსენიებთ, რომლებსაც ტრადიცია აღიარებს. ტრადიციის თანახმად, მა-

[3] მაგალითად, მარკოზთან და მათესთან ერთსა და იმავეს ვკითხულობთ (მარკოზი 9:47-48/მათე 18:9) მაგრამ ლუკასთან არა. ასევე ლუკასთანათანც და მათესთანაც (ლუკა 13:28/მათე 8:11-12) მაგრამ მარკოზთან არა.

რკოზი ებრაელი იყო ლევიტელთა ტომიდან, თუმცა სახარების ავტორი ებრაელი რომ არ იყო, ამას ისევ თავად ამხელს. სახარების ავტორი ამბობს, რომ ჭამის წინ ყველა ებრაელს ხელი უნდა დაებანა (რასაც რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა) (მარკოზი 7:3), თუმცა იუდაიზმის ისტორიის მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს წესი ყველა იუდეველზე არ ვრცელდებოდა. ცხადია, მარკოზის სახარების ავტორს წარმოდგენა არ ჰქონდა ამ რიტუალის შესახებ. ის რომ მართლაც ებრაელი ყოფილიყო, როგორც ამას ქრისტიანული ტრადიცია აცხადებს, მას ასეთი ელემენტარული შეცდომა არ მოუვიდოდა (მათითაშვილი 2022). აქედან გამომდინარე დასკვნა: ის, ვინც მარკოზის სახარება დაწერა, არა თავად მოწაფე მარკოზი, არამედ წარმართობიდან მოქცეული ქრისტიანი იყო, რომელიც ასევე წარმართობიდან მოქცეულთათვის წერდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ წარმართობიდან იყო მოქცეული, მარკოზის სახარების ავტორისთვის მაინც მნიშვნელოვანი იყო ქრისტეს ებრაელობისა და მისი მოღვაწეობის ბიბლიურ-იუდეური კონტექსტის წარმოჩენა. ამიტომაც იხსენიებს იესოს „მესიად“, რაც ებრაულად ცხებულს ნიშნავს. ბერძნულად ცხებული ითარგმნება როგორც „ქრისტე“[4]. ამას იესოს ღვთაებრიობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ცხებულის გაგება იუდაიზმში ჩამოყალიბდა. ცხებული იყო მეფე, ღვთის რჩეული, რომელიც ერს უფლის გზაზე მიუძღოდა, მაგრამ ბაბილონის მიერ იუდეის დაპყრობის შემდეგ (ძვ.წ. 578) ებრაელებს უკვე აღარ ჰყავდათ ცხებული მეფე (მათითაშვილი 2022). აი სწორედ აქედან იღებს სათავეს მესიის იდეა. ამ განსაცდელისა და ჩაგვრის ჟამს ებრაელ ხალხს უჩნდება განცდა, რომ მალე მთელი სიდიადით მოვა მხსნელი, გადამრჩენელი, რომელიც დაასრულებს ტყვეობას და იუდეველებს ისევ დიდებისკენ გაუძღვება. ებრაელთა წარმოდგენით, მესია უნდა ყოფილიყო ძლევამოსილი მეფე ან მსაჯული, რომელიც საკუთარი ხალხის მტერს დაამარცხებდა. მაგრამ როგორც ახალ აღთქმაში ვნახეთ, იესომ სულ სხვა მესიის ცნება შემოიტანა. მესიის, რომელიც უნდა იტანჯოს და გაიწიროს.

საინტერესოა, თუ რა მსოფლმხედველობა არსებობდა ებრაელ ხალხში, სანამ ქრისტე დაიწყებდა ქადაგებას. ანტიკურ სამყაროში მცხოვრები იუდეველების რწმენით, ღმერთს მათთან შეთანხმება ჰქონდა, რის მიხედვითაც ღმერთი ყოველთვის დაიცავდა მათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მის წესებს ზედმიწევნით შეასრულებდნენ, მაგრამ მსგავს იდეოლოგიას საერთოდ არ შეესაბამებოდა პალესტინის პოლიტიკური ისტორია. თუ ღმერთი თავის ხალხს ყველა განსაცდელისგან იცავს, მაშინ როგორ უნდა აიხსნას, ფაქტი, რომ ისრაელი მტრების წინაშე მარცხდება და ხან ასირიელები, ბაბილონელები, სპარსელები, ბერძნები და ბოლოს რომაელები იპყრობენ. როგორ შეიძლება ებრაელებს სჯეროდეთ, რომ ღმერთი მათ მხარეს არის?! ამას პასუხი ისევ ძველმა ებრაელებმა მოუძებნეს. წინასწარმეტყველთა აზრით, როგორიცაა ესაია, იერემია, ამოსი, ჰოსეა, ისრაელის ყოველი სამხედრო წარუმატებლობა თუ ეკონომიკური ჩავარდნა განპირობებულია, იმით, რომ ხალხმა ღმერთის კანონებს ზურგი აქცია. ის ისევ მათი ღმერთია და ისევ მათ მხარეს არის, მაგრამ ადამიანები

[4] ბერძნულად – χριστός

სცოდავენ და სწორედ ამ ცოდვების გამო იტანჯებიან, თუ ისინი სჯულს ზედმიწევნით დაემორჩილებიან და ღმერთის გზიდან არ გადაუხვევენ, ისრაელი ისევ აღიდგენს ძველ სამხედრო თუ ეკონომიკურ დიდებას. მსგავსი შეხედულება ყოველთვის პოპულარული იყო, არამარტო ებრაელებში, არამედ შემდგომ უკვე ქრისტიანებშიც, დღესაც ბევრს სჯერა, რომ ხალხი მათი ცოდვების გამო იტანჯება, მაგრამ ამ შეხედულებას კიდევ ერთი შეუსაბამობა ახლავს. არამარტო ისინი იტანჯებოდნენ, ვინც სცოდავდა, არამედ ისინიც, ვინც სჯულის კანონებს ზედმიწევნით ასრულებდა. რატომ იტანჯება ღმერთის საყვარელი ერი, რომელიც ცოდვებს ინანიებს და რატომ ყვავიან სხვა დანარჩენი ერები, რომლებიც რეალურად მჩაგვრელები არიან. საჭირო იყო რაღაც ახალი იდეა, რითაც ეს ყოველივე აიხსნებოდა. ებრაელმა ხალხმა ამ პრობლემის გადაწყვეტაც შეძლო. ახალი შეხედულება მაშინ უნდა აღმოცენებულიყო, როცა მაკაბელთა აჯანყება მოხდა ანტიოქოს ეპიფანეს დროს, რომელიც ებრაელებს საკუთარი წეს-ჩვეულებების უარყოფას და წარმართობაზე გადასვლას სთხოვდა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი სიკვდილით სჯიდა.[5] ებრაელები ვერ ხვდებოდნენ, რატომ სჯიდა ღმერთი მათ მოსეს სჯულის შესრულების გამო. სწორედ ამ დროს გაჩნდა ახალი იდეა, რის მიხედვითაც ღმერთი კი არ ტანჯავს თავის ხალხს, არამედ სხვა ზებუნებრივი არსება, რომელიც ღმერთის წინააღმდეგ გამოდის და რომელსაც ტრადიცია სატანის სახელით იცნობს. ამ ახალი შეხედულების თანახმად, ღმერთი ისევ აკონტროლებს სამყაროს, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო ღმერთმა დროებით მმართველობა ბოროტ ძალებს დაუთმო. გარკვეული დროის შემდეგ კი ღმერთი მთელი ძლევამოსილებით ჩამოვა დედამიწაზე და ყოველგვარ ბოროტებას დაამარცხებს, ამის შემდეგ კი საკუთარ მმართველობას დაამყარებს და თავის ხალხს დანაპირებს შეუსრულებს, რაც სამყაროზე ბატონობას გულისხმობს. სწორედ ამ მსოფლმხედველობას ეწოდება „აპოკალიპტიზმი“ რომელიც ბერძნული ტერმინიდან ἀποκάλυψις მოდის, რაც გამოაშკარავებას, გამოცხადებას გულისხმობს (Ehrman 1999: 119-123).

ახლა კი დროა იმაზე გადავიდეთ, თუ რა სახის ინფორმაციას გვაწვდის სახარებები ისტორიულ იესოზე და რისი თქმა შეგვიძლია დანამდვილებით. რამდენიმე ცნობაში ეჭვის შეტანა რთულია და ფაქტია ეს ცნობები ისტორიულ რეალობას ასახავს: იესო დაიბადა ებრაულ ოჯახში, იზრდებოდა იუდეველად, იუდეველი ოჯახის წევრებთან, მთელი ცხოვრება იცავდა იუდეურ წეს-ჩვეულებებს, წარმოშობით მისი ოჯახი იყო ნაზარეთიდან. დაიბადა ბეთლემში დაახლ. ძვ.წ. 6-4 წლებს შორის, ამის თქმის საშუალებას ის გვაძლევს, რომ ახალ აღთქმაში იხსენიება მეფე ჰეროდე, რომლის გარდაცვალებამდეც იესო უნდა დაბადებულიყო. ისტორიიდან კი ჩვენ ვიცით, რომ ჰეროდე ძვ.წ. 4 წელს გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე დასკვნის გაკეთება მარტივია, იესო ძვ.წ. 4 წლამდე უნდა დაბადებულიყო. დაბადების შემდეგ ნაზარეთში დაბრუნდა, სადაც გაიზარდა კიდეც. მამამისს ერქვა იოსები, დედამისს მარიამი (მირიამი რაბინისტულ ტრადიციაში). იოსები უბრალო მუშა იყო, არსად არ არის ნახსენები რომ მაინცდამაინც დურგლად მუშაობდა. გვიანდელი ქრისტიანული

[5] ეს მომენტი კარგად არის აღწერილი ძველ აღთქმაში (პირველი მაკაბელთა, თავი პირველი).

ტრადიცია იოსებს, მარიამთან ქორწინებისას, მოხუცებულ კაცად წარმოადგენს, თუმცა ახალ აღთქმაში არსად არ არის ნახსენები იოსების სიბერე. ასევე არსად არ არის ნახსენები, რომ იოსებს მარიამამდე სხვა ცოლი ჰყავდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ იოსები მარიამთან ქორწინების დროს ახალგაზრდა კაცი იყო. ამავე დროს სახარება ასახელებს იესოს დებს და ძმებს: „ეს ხურო არ არის, მარიამის ძე, იაკობის იოსეს, იუდასი და სიმონის ძმა?! აქვე ჩვენთან არ იმყოფებიან მისი დები? – ისინი ცდუნდებოდნენ მასში (მარკოზი 6:3)“[6] ქრისტიანული სწავლებით, შეუძლებელია იესოს დები და ძმები ჰყოლოდა, არადა სახარებაში პირდაპირ „ძმა“ და „დები“ წერია (ἀδελφὸς/αἱ ἀδελφαὶ). ნეტარი იერონიმე წერდა, რომ ესენი იესოს დები და ძმები კი არა, ბიძაშვილები არიან, რომლებიც უბრალოდ დებად და ძმებად მოიხსენიებიანო, რაც უბრალოდ იერონიმეს ინტერპრეტაციაა და არანაირი საერთო არ აქვს სახარების ბერძნულ ორიგინალთან. ბერძნულში არსებობს სიტყვა, რომელსაც ბიძაშვილის მნიშვნელობა აქვს, ἀνεψιός, ავტორს თუ მართლაც ბიძაშვილების დაწერა უნდოდა, პირდაპირ დაწერდა და მათ „ძმებს“ და „დებს“ არ უწოდებდა. იესოს ოჯახი არამეულად ლაპარაკობდა, თუმცა იესომ ებრაულად კითხვაც იცოდა, ზოგადად ამ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული არამეულისა და ებრაული ენის ერთგვარი ნაზავი. იესო დაბალ ფენას მიეკუთვნებოდა, მას სასწავლებელში განათლება არ მიუღია, ასეთი სასწავლებელი ნაზარეთში არც კი უნდა ყოფილიყო (მათითაშვილი 2022). დღევანდელობაში, როცა მოზარდი სკოლასა და უნივერსიტეტში არ იღებს განათლებას, ხშირ შემთხვევაში უმეცარი რჩება, მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ იმ დროის პალესტინაში განათლება სულ სხვაგვარი იყო, ასე იყო ზოგადად იმ დროის აღმოსავლეთშიც. მუდმივი დამოკიდებულება ერთმანეთს შორის, გადაცემა ერთი თაობიდან მეორეზე იმ ზნეობრივ თუ გონებრივ მცნებათა, რომლებიც ავითარებდა ადამიანს, ხელს უწყობდა აღმოსავლეთის შვილს ზედმიწევნით გაწაფულიყო, განსწავლულიყო. მაგალითად, ის არაბი, რომელსაც მასწავლებელი თვალითაც არ უნახავს, ხშირად ფრიად განვითარებულია ხოლმე, ვინაიდან მისი კარავი სულ მოძრობაშია და უამრავ ადამიანს ხვდება, უმეტესწილად სწორედ მსგავსი ურთიერთობებით ხდებოდა ადრე ცოდნისა თუ გამოცდილების დაგროვება (რენანი 1990: 13-14). იესოს თანამედროვეებს უკვირდათ მისი განსწავლულობა ძველ აღთქმაში, მაგრამ ფაქტია პატარაობისას გარკვეული განათლება მიიღო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანატოლებში განსაკუთრებული ნიჭით ან განათლებით გამოირჩეოდა, რადგან მისი ნაცნობები გაოგნებულნი დარჩნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ იესომ საერთოდ კითხვა იცოდა.[7] სავარაუდოა, რომ სამ ენას ფლობდა, მისი მშობლიურ ენას არამეულს, ებრაულს და წესით გარკვეულ დონეზე ბერძნულსაც. იმ დროის გალილეაში ბერძნული საკმაოდ გავრცელებული ენა იყო, ასევე, როდესაც პონტოელი პილატე და იესო საუბრობს, მათ შორის დიალოგი სწორედ ბერძნულად უნდა წარმართულიყო. თუკი ჩავთვლით, რომ იესო

[6] ბერძნულად – οὐχ οὗτός ἐστιν ὁ τέκτων, ὁ υἱὸς τῆς Μαρίας καὶ ἀδελφὸς Ἰακώβου καὶ Ἰωσῆτος καὶ Ἰούδα καὶ Σίμωνος; καὶ οὐκ εἰσὶν αἱ ἀδελφαὶ αὐτοῦ ὧδε πρὸς ἡμᾶς; καὶ ἐσκανδαλίζοντο ἐν αὐτῷ .

[7] ამის შესახებ წაიკითხავთ (მარკოზი 6:2 – იოანე 7:15).

დაახლოებით ძვ.წ. 6 წელს დაიბადა, ასევე მხედველობაში მივიღებთ, ახალი აღთქმის ცნობას, რომ მან ქადაგება იმპერატორ ტიბერიუსის მმართველობის მეთხუთმეტე წელს, ანუ ახ.წ. 29 წელს დაიწყო, გამოდის, რომ იორდანეში ნათლობისას იესო 35 წლის, ხოლო ჯვარცმისას 40 წელს მიღწეული იყო. იესო დაახლოებით 3 წელი ქადაგებდა. ქადაგების შესახებ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არ აპირებდა ახალი რელიგიის დაარსებას. ზოგს ჰგონია, რომ „საიდუმლო სერობა“ არის ის მომენტი, როცა იესო ახალ რელიგიას აფუძნებს, მაგრამ რეალურად ეს არაფერია თუ არა პასექის დღესასწაულის აღნიშვნა, რომელსაც ყველა ებრაელი აღნიშნავდა. (Jeremias 1966: 141-162) ყველას ავალებდა მოსეს რჯულის დაცვას, როგორც ზნეობრივ, ისე რიტუალურ ნაწილში.[8] იესოს არ გამოუცხადებია თავი ღმერთად ან ღვთაებრივ არსებად, არც მისი მოწაფეები თვლიდნენ მას ღმერთად ან ღვთაებრივ ლოგოსად. დასაწყისში მარკოზის სახარება მოგვითხრობს: „მოხდა იმ დღეებში, რომ მოვიდა იესო გალილეას ნაზარეთიდან და მონათლულ იქნა იოანეს მიერ იორდანეში. და უცბად, როდესაც წყლიდან ამოდიოდა, იხილა გახსნილი ცანი და სული მტრედივით გარდმომავალი მასზე. ცისგან მოისმა ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე.““ ხშირად ამბობენ, რომ სწორედ ეს ადასტურებს იესოს ღვთაებრიობას, მაგრამ რეალურად ნიშნავს თუ არა საყვარელ ძედ მოხსენიება, იმას, რომ ავტორი იესოს ღმერთად აცხადებს? არა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. საქმე ისაა, რომ მკითხველმა ეს სიტყვები ისე უნდა გაიგოს, როგორც ეს 2000 წლის წინ მცხოვრებ ებრაელებს ესმოდათ. რას ნიშნავდა „ძე ღვთისა“ მათთვის? ეს იყო ადამიანი, რომელიც ღმერთთან განსაკუთრებული სიახლოვით, სასწაულმოქმედებითა და წინასწარმეტყველების უნარით გამოირჩეოდნენ. იესოს გარდა ასეთი „ღვთის ძეები“ სხვებიც იყვნენ ისრაელში. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ჰანინა ბენ დოსა და ჰონი ჰამე’ეაგელი (წრის მხაზველი), პირველი საუკუნის ებრაელი მოძღვრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მოსეს სჯულის დაცვითა და სასწაულმოქმედების უნარით (Ehrman 1997: 58). ამიტომ „ღვთის ძედ“ წოდებაში არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. რაც შეეხება ლოგოსს, ის იოანეს სახარებაში ჩნდება. იოანეს სახარება I საუკუნის პალესტინური თემის რწმენა-წარმოდგენებს ასახავს, რომლებმაც იესო მისი სიკვდილიდან დაახლოებით სამოცი წლის შემდეგ გააღმერთეს და თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაებრივ ლოგოსს, თუმცა თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ებრაელი რაბი საკუთარ თავს ებრაელი ერისთვის აღთქმულ მესიად მიიჩნევდა და ასეთად მიიჩნევდა მას თანამედროვეთა ნაწილიც (მათითაშვილი 2022).

ახლა უშუალოდ უნდა შევეხოთ, თუ რა ადასტურებს იმას, რომ იესო აპოკალიპტური წინასწარმეტყველი იყო და რას ქადაგებდა ის ამასთან დაკავშირებით. მარკოზის სახარებაში, (რომელიც დავადგინეთ, რომ პირველი სახარება და ჩვენს ხელთ არსებული უძველესი წყარო გახლავთ) იესოს პირველი სიტყვებიც კი უშუალოდ აპოკალიფსს უკავშირდება: „ამბობდა: „აღსრულდა ჟამი და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი. მოინანიეთ და იწამეთ სახარება“ (კიდევ ერთხელ გავმეორდები, რომ ორიგინალში ტერმინი „სახარება“ კარგ ამბავს

[8] ამის შესახებ იხილეთ: (მათე 5:17-20).

ნიშნავს. შემდგომში ქრისტიანებმა ეს ტერმინი უშუალოდ იესოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაუკავშირეს, უფრო მეტად კი მის ჯვარცმას და აღდგომას, მაგრამ ფაქტია ქადაგების დასაწყისში ის ხალხს თავისი აღდგომის დაჯერებისკენ არ მოუწოდებდა. ანუ გამოდის რომ აქ იესო ამბობს, „იწამეთ კარგი ამბავი“). აქ პირდაპირ და გარკვევით ჩანს, რას ამბობდა იესო, ის მოუწოდებს ხალხს მიიღონ სასიხარულო ცნობა, რომ ახლა, ძალიან მალე, ღმერთი ჩაერევა ისტორიაში და დაამკვიდრებს თავის საუფლოს. საინტერესოა, რას გულისხმობს, როცა ღმერთის მომავალ საუფლოზე საუბრობს. ეს კითხვა ახალი აღთქმის მკვლევრებს დიდი ხანია აწუხებთ და მასზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე უნდა შევჩერდეთ. ცხადია, როცა იესო „ღვთის სასუფეველს“ ახსენებს, ის არ საუბრობს „სამოთხეზე“ იმ გაგებით, რა გაგებითაც სული ზეცაში მიდის გარდაცვალების შემდეგ. როცა ღვთის სასუფეველზეა საუბარი, იესო აშკარად საუბრობს სამეფოზე, რომელიც დედამიწაზე დამკვიდრდება, სადაც ღმერთი დაიწყებს მმართველობას ისე, როგორც უკვე მმართველობს ზეცაში. ეს აზრი სრულიად შეესაბამება იესოს ცხოვრებისა და აზროვნების ებრაულ ფონს. რადგან მთელ ძველ აღთქმაში გამუდმებით საუბრობენ ისრაელის ღმერთზე, რომელიც ყველა ხალხის მეფეა და რომელიც მალე აქ, დედამიწაზე დაამკვიდრებს მმართველობას[9]. უფრო მეტიც, როცა იესო საუბრობს ღვთის სასუფევლის, ანუ ზეციური სამეფოს, აქ დამკვიდრებაზე, ის საერთოდ არ გულისხმობს ამას მეტაფორულად, ისე თითქოს ის ადამიანთა გულებზე საუბრობდეს, სადაც ღმერთი უნდა დამკვიდრდეს, არამედ პირდაპირ და მკაფიოდ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე გვიხატავს სხვადასხვა სურათს, თუ როგორ და რა წესით იარსებებს ეს ღვთის სასუფეველი დედამიწაზე.

„ვიღაცამ უთხრა მას: „უფალო, ნუთუ ცოტანი გადარჩებიან? მან კი უთხრა მათ: იღვაწეთ რათა შეხვიდეთ ვიწრო კარიდან; რადგან გეუბნებით, მრავალი ეცდება შესვლას და ვერ შეძლებს. როდესაც სახლის პატრონი წამოდგება და დაკეტავს კარს, მაშინ თქვენ, გარეთ მდგომნი, დაიწყებთ კარზე კაკუნს და ეტყვით: ბატონო, ბატონო, გაგვიღე! მაგრამ ის პასუხად გეტყვით: არ გიცნობთ, სადაურები ხართ. მაშინ დაუწყებთ ლაპარაკს: შენს წინაშე ვჭამდით და ვსვამდით, და ჩვენს ქუჩებში ასწავლიდი. მაგრამ ის გეტყვით: გეუბნებით, არ გიცნობთ, სადაურები ხართ. გამშორდით ყველანი, უსამართლოების მოქმედნო. და იქნება ტკივილი და კბილთა ღრჭენა, როცა იხილავთ აბრაამს და ისაკს და იაკობს და ყველა წინასწარმეტყველს ღვთის სასუფეველში, თქვენ თავს კი – გარეთ განდევნილებს.“ (ლუკა 13:24-28).

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ თქვენ, ვინც მე გამომყევით, მეორედ შობისა, როცა კაცის ძე თავისი დიდიების ტახტზე დაჯდება, თქვენც დასხდებით თორმეტ ტახტზე ისრაელის თორმეტი ტომის განსაკითხავად“ (მათე 19:28; ლუკა 22:30). მსგავსი შეხედულება და ფრაზები, თითქმის მთელ ბიბლიაშია მიმოფანტული. ყოველ შემთხვევაში იმის თქმა შეგვიძლია, რომ იესოსაც და სხვა აპოკალიპტურ წინასწარმეტყველებსაც, რომლებიც იესომდე იყვნენ, სჯერო-

[9] ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ გაეცნოთ ფსალმუნებს (ფსალმუნი 47:7-8/92:1)

დათ ღვთის სამეფოს ფიზიკურ დამკვიდრებაზე, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მომხდარიყო. სწორედ ეს სამეფო იქნებოდა ბოროტების წინააღმდეგ მიმართული. იესოც „კარგ ამბავს“ რეალურად ამ სამეფოს დამკვიდრებას უწოდებს. მთელი თავისი სწავლების განმავლობაში იესო ქადაგებს ღვთის სამსჯავროზე, რომელიც რამდენიმე ათასწლეულში კი არა, არამედ მალე, აწმყოში მოხდებოდა და ამას მოესწრებოდა ცოცხლად მყოფთა იმ თაობის წარმომადგენლების ნაწილი, რომლებიც იესოს თანამედროვენი იყვნენ. სწორედ ამას მოწმობს მარკოზის სახარება პირდაპირ, როცა ვკითხულობთ: „უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არიან აქ მდგომთაგან, რომლებიც არ იგემებენ სიკვდილს, სანამ არ იხილავენ ღვთის სასუფეველს, ძლიერებით მოსულს““ (მარკოზი 9:1). ამ სიტყვების მსმენელი ებრალები შიშითა და ძრწოლით უნდა დალოდებოდნენ რაღაც იდუმალს, რომელიც ძალიან მალე უნდა მომხდარიყო. „მიუგო იესომ: ხედავ დიდ შენობებს? ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, რომ არ ჩამოიქცეს.“ როცა ზეთისხილის მთაზე იჯდა ტაძრის წინ, განმარტოებით, ჰკითხეს მას პეტრემ, იაკობმა, იოანემ და ანდრიამ: „გვითხარი, როდის მოხდება ეს, ანდა რა იქნება იმის ნიშანი, როცა ეს ყოველივე უნდა მოხდეს?“ დაუწყო მათ იესომ ლაპარაკი: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ, ვინაიდან ბევრი მოვა ჩემი სახელით და იტყვის: მე ვარო, და მრავალს შეაცდენენ. როდესაც მოისმენთ ომების შესახებ და ომების ამბებს, ნუ შეძრწუნდებით: ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ. იქნება მიწისძვრანი და ადგილ-ადგილ და შიმშილობანი. ეს მშობიარობის ტკივილთა დასაწყისია“ (მარკოზი 13:2-8). „ვინაიდან იმ დღეებში ისეთი გასაჭირი იქნება, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან, რომელიც შექმნა ღმერთმა, დღევანდელ დღემდე, და აღარც არასოდეს იქნება. უფალს რომ არ შეემოკლებინა ის დღეები, ვერა ხორციელი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ ის დღეები შეამოკლა იმ რჩეულთათვის, რომლებიც მან ამოირჩია. მაშინ თუ ვინმე გეტყვით: აჰა, აქ არისო ქრისტე, ან: აჰა, იქო, არ ერწმუნოთ. ვინაიდან აღდგებიან ცრუქრისტეები და ცრუწინასწარმეტყველნი და მოიმოქმედებენ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა რჩეულნი შეაცდინონ, თუ კი შეძლებენ. თქვენ კი გაფრთხილდით. წინასწარ გითხარით ყველაფერი. მაგრამ იმ დღეებში, იმ გასაჭირის შემდგომ, მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს. იქნება ვარსკვლავთა ცვენა და შეირყევიან ციური ძალები. მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალით და დიდებით. მაშინ იგი წარგზავნის თავის ანგელოზებს და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხთავ ქართაგან, მიწის კიდიდან ცის კიდემდე. იფხიზლეთ და ილოცეთ „ლეღვისაგან ისწავლეთ მაგალითი: როცა მისი რტოები დარბილდება და შეიფოთლება, იცით, რომ ახლოა ზაფხული. ასევე, როცა იხილავთ, რომ ეს ყოველივე ხდება, იცოდეთ, რომ კარსაა მომდგარი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადაივლის ეს თაობა, ვიდრე ყოველივე ეს არ მოხდება“ (მარკოზი 13:19-30). ყველაზე საყურადღებო ეს ბოლო ფრაზა გახლავთ: „არ გადაივლის ეს თაობა, ვიდრე ყოველივე ეს არ მოხდება“ აქ ნათლად წერია, რომ იესო ზეციური საუფლოს დედამიწაზე დამკვიდრებას ელოდება

ძალიან მალე, იქამდე სანამ მისი თანამედროვე თაობა ცოცხალია. სახარების დაკვირვებული მკითხველისთვის ნათელი გახდება, რომ იესო რეალურად აპოკალიფსს წინასწარმეტყველებს, რომელიც დედამიწაზე ღვთის სამეფოს დამკვიდრებით უნდა დაგვირგვინდეს. სწორედ ასე სჯერათ და სჯეროდათ ებრაელებს 2000 წლის წინაც. საუკუნეების შემდეგ, მაშინ როცა აპოკალიფსური შიშებით შეპყრობილი პატარა სექტა, ძლევამოსილ და მასშტაბურ რელიგიად გადაიქცა, წმინდა მამებმა ამ და სხვა ფრაზებს სხვადასხვა ახსნა თუ ინტერპრეტაცია მოუძებნეს, რაც უკვე უშუალოდ რწმენის საკითხია და მეცნიერებას არ უკავშირდება.

არ შეიძლება ისტორიულ ქრისტეზე საუბრისას, გვიან ქრისტიანული ეგზოტიკით მსჯელობა. იმისთვის, რომ კონკრეტულ დროში არსებული ნებისმიერი პიროვნება აღიქმებოდეს, განსაკუთრებით კი გვიან ანტიკურობაში, მნიშვნელოვანია ეპოქის არსსა და იმ გარემოს კულტურულ თუ სოციალურ ასპექტებში გარკვევა ,რომელშიც ის მოღვაწეობდა. სხვადასხვა საეკლესიო პირის მიერ აღქმული ქრისტე და ისტორიული ქრისტე ერთმანეთისგან განსხვავდება. სასულიერო პირების მიერ გადმოცემული იესო ქრისტე რწმენის ქრისტეა და არა ისტორიული. მამები ქრისტესთან დაკავშირებით მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს გვიმხელენ. სწორედ ამ და სხვა მიზეზების გამო მნიშვნელოვანია წმინდად ისტორიულად აღვადგინოთ ის მოვლენები, რომლებიც 2000 წლის წინ ხდებოდა პალესტინაში და რომელმაც სამყაროს შემდგომ განვითარებაზე ძალიან დიდი კვალი დატოვა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **ახალი აღთქმა და ფსალმუნები:** ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1993;
- ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989;
- **ლელუაშვილი 2020**: ლელუაშვილი გიორგი, ისტორიული იესოს შესახებ კვლევა განმანათლებლობიდან დღემდე, თეოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბილისი 2020;
- **ლორთქიფანიძე, მშვილდაძე 2012:** ლორთქიფანიძე გურამ, მშვილდაძე მარიკა, ბიბლიური არქეოლოგია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012;
- **მათითაშვილი 2022:** მათითაშვილი შოთა, ისტორიული ქრისტე და კანონიკური სახარებანი, 2022. ხელმისაწვდომია https://shotamatitashvili.blogspot.com/2022/11/ (ბოლოს დამოწმებულია: 26.11.2022);
- **რენანი 1990:** რენანი ერნესტ, ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი: მერანი, 1990;
- **Ehrman 1997:** Bart D. Ehrman, The New Tastament A Historical Introduction to the Early Christian Writings, New York: Oxford University Press, 1997;
- **Ehrman 1999:** Bart D. Ehrman, Jesus Apocalyptic Prophet of the New Millennium, Oxford: Oxford University press, 1999;
- **Jeremias 1966:** Jochim Jeremias, The Eucharistic words of Jesus, SCM press, 1966.

Temur Sikharulidze
BA Program in History, TSU

FIRST GOSPEL AND JESUS CHRIST AS AN APOCALYPTIC PROPHET
(SUMMARY)

There is no greater event in the world than the birth of Jesus Christ. His birth and teachings changed the entire world. That is why it is essential to describe him as a purely historical figure. We gather a lot of information about him directly from the holy books, primarily from the Gospels. However, before we delve into the historical reconstructions of Jesus, it is necessary to touch upon the tradition of writing the Gospels. Which of them should have been written first? What is the first written source that tells us about Christ? It is necessary to answer these questions in order to understand Christ not only as a spiritual leader but also as a historical figure who truly existed in his time. It is also interesting to explore the mindset of Jesus Christ—what influenced him, how he grew up, and what he actually preached. Does the Jesus described by various theologians correspond exactly to the historical person? Of course not. The Jesus described by theologians is based on faith, which may be out of step with historical reality. It is important to note that the worldview of the Jews living 2000 years ago is directly related to apocalypticism. Keeping all this in mind, we will attempt to reconstruct the historical Christ and establish the first Gospel.